


შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი









პროგრამები, აქტივობები, ფაქტები
და რიცხვები

2017

www.rustaveli.org.ge

სარჩევი

ფონდის შესახებ -----	4
ფონდის საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭო (SRNSFG IPB) -----	7
2017 წელს განხორციელებული პროგრამები და მნიშვნელოვანი ფაქტები-----	9
2018 წლის კონკურსები და პროგრამები-----	12
2017 წლის კონკურსების ჩამონათვალი, აბრევიატურები-----	14
2017 წლის ბიუჯეტის შეჯამება / საფინანსო ანგარიში-----	15
2017 წლის კონკურსებისა და პროგრამების სტატისტიკა-----	17
• გამორჩეული ხარისხის კვლევების ხელშეწყობა საქართველოში-----	18
• ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარება და მობილობის ხელშეწყობა-----	26
• მეცნიერების ინტერნაციონალიზაცია-----	38
2017 წლის მნიშვნელოვანი ღონისძიებები-----	49
კონკურსების კალენდარი-----	57



ფონდის შესახებ

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (SRNSFG) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ-ია, რომელიც ხელს უწყობს ქვეყანაში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის განვითარებას. ფონდის ხედვა და სტრატეგია შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას „საქართველო 2020“, საქართველოს მთავრობის განვითარების ოთხპუნქტიან გეგმასა და საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების მოთხოვნებს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის განვითარების მიმართულებით.

ფონდი ახორციელებს სახელმწიფო საგრანტო კონკურსებს, მიზნობრივ პროგრამებსა და პროექტებს, ჩართულია საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებსა და ერთობლივ ინიციატივებში. SRNSFG ადმინისტრირებას უწევს 20-ზე მეტ საკონკურსო პროგრამას, მათ შორის, 15 ეროვნულ, 10-მდე საერთაშორისო ბილათერალურ კონკურსს და ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ის ფარგლებში დაფინანსებულ 2 მულტილათერალურ პროექტს (Black Sea Horizon, EaP PLUS).

ფონდს ჰყავს საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭო, რომლის წევრები არიან წამყვანი ქართველი და უცხოელი მეცნიერები და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები. საბჭო განსაზღვრავს ფონდის ხედვას, პოლიტიკას და უზრუნველყოფს მისი საქმიანობის ხარისხის ზედამხედველობას. ამასთანავე, საბჭო ადგენს ფონდის სტრატეგიულ პრიორიტეტებს და ახორციელებს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს.

ფონდი აფინანსებს ყველა სამეცნიერო მიმართულებას EUROSTAT-ისა და OECD-ის კლასიფიკატორის შესაბამისად:

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
2. ინჟინერია და ტექნოლოგიები;
3. მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებები;
4. აგრარული მეცნიერებები;
5. სოციალური მეცნიერებები;
6. ჰუმანიტარული მეცნიერებები.

დამატებით, მთლიანი წლიური პროგრამული ბიუჯეტის 10%-ის ფარგლებში, ეროვნული სამეცნიერო ფონდი აფინანსებს სამეცნიერო პროექტებს საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებაში.

ფონდის 2017 წლის ბიუჯეტი 31 095 000 ლარია. 2018 წელს იგეგმება ბიუჯეტის 7%-იანი ზრდა.

ფონდის ხედვა და მისია

ფონდის სტრატეგიული ხედვაა, მომდევნო ათწლეულის განმავლობაში, ხელი შეუწყოს საქართველოს დამკვიდრებას მსოფლიოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემაში და ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის სწრაფ სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებასა და კეთილდღეობაში.

ფონდის მისიას წარმოადგენს: ინოვაციური სამეცნიერო კვლევების ხარისხის, მნიშვნელობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის უზრუნველყოფით ქვეყანაში მკვლევართა ახალი თაობების მომზადება, საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუციებისა და სამეცნიერო საზოგადოების კვლევითი პოტენციალის ზრდა და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში საქართველოს მეცნიერთა ინტეგრირების ხელშეწყობა.

ფონდის შესახებ

ფონდის მიზნები და პრიორიტეტები:

- საუკეთესო, გამორჩეული ხარისხის სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერის უზრუნველყოფა საქართველოში

ფონდი აფინანსებს საერთაშორისო სამეცნიერო პოტენციალის მქონე და ინოვაციურ ფუნდამენტურ და გამოყენებით სამეცნიერო-კვლევით პროექტებს ყველა სამეცნიერო მიმართულებაში. სტრატეგიულად მნიშვნელოვანია საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში კვლევებისა და პროგრამების განვითარება, მათი საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში პოპულარიზაცია. ფონდი ხელს უწყობს უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა კვლევით პროექტებში მონაწილეობას და რეპატრიაციას, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარებასა და განახლებას. მიზნობრივი კონკურსების ორგანიზების გზით ფონდი უზრუნველყოფს საქართველოში მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევის მნიშვნელობის ზრდასა და მეცნიერების პოპულარიზაციას, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ასევე ფართო საზოგადოებაში.







- საქართველოს მეცნიერთა კონკურენტუნარიანობის გაზრდა და ახალგაზრდა მკვლევართა შესაძლებლობების განვითარება

ფონდი ხელს უწყობს ახალგაზრდა მეცნიერთა: პოსტ-დოქტორანტების, დოქტორანტების, მაგისტრანტებისა და რეზიდენტურის სტუდენტების კვლევითი შესაძლებლობების განვითარებას და სამეცნიერო პროექტებში მათ აქტიურ ინტეგრირებას. ფონდი აგრეთვე მხარს უჭერს საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში საქართველოს მეცნიერთა აქტიურ ჩართულობას, მათი საერთაშორისო მობილობის, საქართველოში განხორციელებული აქტუალური და ინოვაციური კვლევების შედეგების საზღვარგარეთ სამეცნიერო ღონისძიებებზე წარდგენისა და ქვეყანაში ფართომასშტაბიანი საერთაშორისო კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და სეზონური სკოლების ორგანიზების გზით.

- მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემაში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება

ევროკავშირისა და აზიის წამყვანი ქვეყნების ეროვნულ სამეცნიერო ფონდებთან და ცენტრებთან თანამშრომლობით ბილატერალური და მულტილტერალური პროგრამების მეშვეობით ფონდი ხელს უწყობს საქართველოში მეცნიერების ინტერნაციონალიზაციისა და საქართველოს მკვლევართა საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ჩართულობას. 2016 წლიდან, ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა «ჰორიზონტი 2020»-თან საქართველოს ასოცირების საფუძველზე ფონდის მიერ ყოველწლიური საწევრო გადასახადის გადახდა, შესაძლებლობას აძლევს საქართველოს მეცნიერებსა და ინსტიტუტებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მეცნიერებისა და ინსტიტუტების იდენტური პირობებითა და უფლებებით მიიღონ მონაწილეობა H2020-ის პროგრამებსა და კონკურსებში. ასევე, ფონდის მიერ წლიური საწევრო გადასახადების უზრუნველყოფის გზით საქართველოს მეცნიერები მონაწილეობას იღებენ ისეთ საერთაშორისო კვლევითი ცენტრების პროექტებში, როგორიცაა: ბირთვული კვლევის ევროპული ორგანიზაცია (CERN) და ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტი (JINR DUBNA). 2015 წლიდან ფონდი კოორდინაციას უწევს 21 ინსტიტუტისგან შემდგარი კონსორციუმისთვის საერთაშორისო სამეცნიერო გამომცემლობა ELSEVIER-ის ელექტრონულ ბაზებთან (ScienceDirect, Scopus) წვდომის უზრუნველყოფას და ასევე, ELSEVIER-ის ბაზაზე აფინანსებს 2 ქართული ჟურნალის (Transactions of A. Razmadze Mathematical Institute, Annals of Agrarian Sciences) გამოცემას.

2017 წლიდან ფონდი 15 ორგანიზაციისგან



ფონდის შესახებ

შემდგარი კონსორციუმისთვის დამატებით განახორციელებს Clarivate Analytics-ის (ყოფილი Thomson Reuters) ბაზებთან და ანალიტიკურ ინსტრუმენტებთან (Web of Science, Derwent Innovation) წვდომას.

• მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციის სისტემის დაფინანსების დივერსიფიცირების ხელშეწყობა

ფონდი საქართველოს მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში აქტივობისა და წარმატების პოტენციალის გაზრდის მიზნით ახორციელებს მიზნობრივ საგრანტო პროგრამებს და უზრუნველყოფს ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ის, ასევე სხვა საერთაშორისო პროგრამების შესახებ სამეცნიერო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, ფონდების მოზიდვის უნარების განვითარებას ტრენინგებისა და საკონსულტაციო მომსახურების მეშვეობით, მხარს უჭერს ტრანსლაციური ინტერ-სექტორული, ინტერ-დისციპლინური და ინტერ-ინსტიტუციური კვლევების განვითარებას.

2015 წლიდან ფონდი არის ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ში (H2020) შემავალი ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) ეროვნული საკონტაქტო პირი საქართველოში. ERC-ის მისიაა, კონკურენტული დაფინანსების გზით, ხელი შეუწყოს უმაღლესი ხარისხის კვლევების განხორციელებას ევროპაში და მხარი დაუჭიროს მიეზაზე ორიენტირებულ მოწინავე კვლევებს ყველა სფეროში, სამეცნიერო გამორჩეულობის გათვალისწინებით. ფონდი 2018 წლიდან გასცემს დამატებით მოსამზადებელ გრანტებს H2020-ის პროგრამებისთვის პროექტების წერის წასახალისებლად და საქართველოს მეცნიერთა სამეცნიერო პროდუქტიულობის ასამაღლებლად.

ფონდის ამოცანები და პროგრამები:

- გამორჩეული პოტენციალის ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების დაფინანსება;
- ადგილობრივი ინსტიტუციების სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში კვლევების განვითარება და პოპულარიზაცია მსოფლიოს წამყვან კვლევით უნივერსიტეტებსა და ცენტრებში;
- ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება და აკადემიურ სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობა;
- ბილატერალური საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება: ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო კვლევების, მობილობისა და სამეცნიერო ინიციატივების დაფინანსება, საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით პროგრამებში საქართველოს მეცნიერთა მონაწილეობისა და საერთაშორისო სამეცნიერო - კვლევით ინფრასტრუქტურაზე წვდომის უზრუნველყოფა;
- მეცნიერების პოპულარიზაცია;
- ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ში და სხვა საერთაშორისო პროგრამაში საქართველოს მეცნიერთა და ინსტიტუციების მონაწილეობის გაზრდისა და საერთაშორისო ფონდების მოზიდვის ხელშეწყობა; ტექნოლოგიური ტრანსფერის ხელშეწყობი (ტრანსლაციური), ინტერდისციპლინური, ინტერინსტიტუციური და ინტერსექტორული (კვლევით უნივერსიტეტებს/ცენტრებსა და ინდუსტრია/ბიზნეს/საჯარო/არასამთავრობო სექტორებს შორის) კვლევების ხელშეწყობა.

საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭო



როჯერ ქაშმორი - პროფესორი, ფიზიკა, ოქსფორდის უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფოს ატომური ენერგიის მმართველი სააგენტოს თავმჯდომარე, CERN-ის ყოფილი დირექტორი, გაერთიანებული სამეფო, საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე/თანათავმჯდომარე.



მიხეილ ჩხენკელი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, მათემატიკის დოქტორი.









ალექსანდრე თევზაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, მათემატიკის დოქტორი.




მაია ცეციტიშვილი - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი.



ირაკლი ქარსელაძე - კომპანიის «მველი ქალაქის განვითარება» დირექტორის მოადგილე.





საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭო



მზექალა შანიძე - პროფესორ-ემერიტუსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი



მარტ საარმა - პროფესორი, ბიოტექნოლოგია, ნეირომეცნიერებები, ჰელსინკის უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის მოლექტორი ნეირომეცნიერებების ლაბორატორია; ევროპული კვლევების საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი, ფინეთი



მელიტა კოვაჩვილი - პროფესორი, ზაგრების უნივერსიტეტი, განათლებისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტი; ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის სადოქტორო სწავლების საბჭოს მმართველი საბჭოს თავმჯდომარე



ნილ მაკფარლეინი - ლესტერ ბ. პირსონის პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობები, ოქსფორდის უნივერსიტეტი, წმ. ენის კოლეჯის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, ოქსფორდის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს წევრი, გაერთიანებული სამეფო



ზაალ (ზაზა) კოკია - პროფესორი, ნეირობიოლოგია, ბიოტექნოლოგია, ლუნდის უნივერსიტეტი, ღეროვანი უჯრედების ცენტრის დირექტორი, შვედეთი

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2017 წელს განხორციელებული კონკურსები და პროგრამები

2017 წელს ფონდმა ადმინისტრირება გაუწია 17 საგრანტო და მიზნობრივ პროგრამას, აქედან 9 - ეროვნულ, 8 საერთაშორისო ბილატერალურ პროგრამასა და ევროკავშირის ჩარჩო პროგრამების ფარგლებში 2 მულტი-ლატერალურ პროექტს.

კონკურსები გამოცხადდა შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებში:

1. გამორჩეული ხარისხის სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა :

**ფუნდამენტური კვლევები;
საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებებისა და კვლევების ხელშეწყობა:**

უცხოეთში საქართველოს შესწავლის ცენტრებისა და პროგრამების ხელშეწყობა (OXFORD); საზღვარგარეთ არსებული ქართული მაგერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევებისათვის სახელმწიფო საგრანტო კონკურსი; **მეცნიერების პოპულარიზაცია:** მოსწავლე გამომგონებელთა და მეგლევართა პროგრამა „ლეონარდო და ვინჩი“; შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჭილღო წლის საუკეთესო მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფისათვის; კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით საგრანტო კონკურსი.

2. ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარება და მობილობის ხელშეწყობა:

ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი გრანტები; დოქტორანტების გრანტები; სამაგისტრო კვლევების გრანტები; დოქტორანტურის ერთობლივი, სტრუქტურირებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება (თანადაფინანსების პროგრამა VW ფონდთან);

ფონდი - DAAD-ის ერთობლივი პროგრამა ახალგაზრდა მეცნიერთა ერთობლივი სტიპენდიები; მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების გრანტით დაფინანსების კონკურსი (მოიცავს 3 მოდულს:ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტები; საკონფერენციო გრანტები; სემინური სკოლების გრანტები).





3. მეცნიერების ინტერნაციონალიზაცია:





JUELICH CENTER(Phd, MA), CNR, CNRS PICS, STCU, TUBITAK და ევროკავშირის მულტი-ლატერალური პროგრამები (H2020-Black Sea Horizon; EAP PLUS).

სამეცნიერო საინფორმაციო და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარება:



ELSEVIER BV, Scopus ელექტრონული ჟურნალების ბაზაზე წვდომა სახელმწიფო უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტებისთვის, ცენტრებისთვის; 2016 წლიდან ELSEVIER-ის ბაზაში 2 ქართული ელექტრონული ჟურნალი განთავსდა - «Annals of Agrarian Science» და «Transactions of Andria Razmadze Mathematical Institute».





შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2017 წელს განხორციელებული კონკურსები და პროგრამები

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ბიუჯეტი 2017 წელს არის 33 732 638 ლარი. საიდანაც 32 006 013 წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრებს, ხოლო 1 726 625 ლარი მიზნობრივ დაფინანსებას.

- ფონდის პროგრამები და გრანტების ბიუჯეტი არის 30 826 400 ლარი
- ფონდის აპარატის ბიუჯეტი არის 1 179 613 ლარი
- მიზნობრივი გრანტების ბიუჯეტი არის 1 726 10625 ლარი.

ფონდის პროგრამები და გრანტების დაფინანსება ხაზილდება შემდეგ პრიორიტეტებზე:

1. სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამები - 15 746 573 ლარი.

1.1. FR - 11 608 989 ლარი, საიდანაც 2 677 200 ლარი გათვალისწინებული იყო 2017 წლის კონკურსში გამარჯვებული პროექტების დასაფინანსებლად, ხოლო 8 931 789 ლარი 2014-2016 წლების კონკურსების ვალდებულებების დასაფარად. 2017 წლის კონკურსის ფარგლებში შემოგანილი 601 პროექტიდან დაფინანსდა 86 (წარმატების ინდექსი 14.3%).

1.2. AR - 3 003 271 ლარი. აღნიშნული თანხა გათვალისწინებული იყო 2016 წლის კონკურსის ვალდებულებების დასაფარად.

1.3. DI - 1 151 542 ლარი. აღნიშნული თანხა გათვალისწინებული იყო 2014-2016 წლების კონკურსების ვალდებულებების დასაფარად.

1.4. JUELICH EDM SMART LAB - 249 000 ლარი.

2. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა - 1 010 246 ლარი.

2.1. HE - 809 246 ლარი. საიდანაც 198 800 ლარი გათვალისწინებული იყო 2017 წლის კონკურსში გამარჯვებული პროექტების დასაფინანსებლად, ხოლო 610 446 ლარი 2015 წლის კონკურსის ვალდებულებების დასაფარად. 2017 წლის საგრანტო კონკურსის ფარგლებში შემოგანილი 55 პროექტიდან დაფინანსდა 4 (წარმატების ინდექსი 7%).

2.2. OXFORD GSP- 201 000 ლარი, გათვალისწინებული იყო 2017 წლის კონკურსში გამარჯვებული პროექტების დაფინანსებისათვის. შემოგანილი 9 პროექტიდან დაფინანსდა 2

(წარმატების ინდექსი 22%).

3. მეცნიერების პოპულარიზაციის პროგრამები - 123 765 ლარი.

3.1. AA - 35 000 ლარი

3.2. LEO - 34 765 ლარი

3.3. SCR - 54 000 ლარი

4. ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარება და მობილობის ხელშეწყობა 5 307 616 ლარი.

4.1. MG - 801 396 ლარი. საიდანაც 777 300 ლარი გათვალისწინებული იყო 2017 წლის კონკურსში გამარჯვებული პროექტების დასაფინანსებლად, ხოლო 24 086 ლარი 2016 წლის კონკურსის ვალდებულებების დასაფარად.

2017 წლის საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 35 ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტი (შემოგანილი პროექტების საერთო რაოდენობა შეადგენდა 131-ს, წარმატების ინდექსი - 27%) და 14 სამეცნიერო ღონისძიება (შემოგანილი პროექტების საერთო რაოდენობა შეადგენდა 46-ს, წარმატების ინდექსი - 30%).

4.2. YS - 1 633 855 ლარი. საიდანაც 330 000 ლარი გათვალისწინებული იყო 2017 წლის კონკურსში გამარჯვებული პროექტების დასაფინანსებლად, ხოლო 1 303 855 ლარი 2015-2016 წლების კონკურსების ვალდებულებების დასაფარად. 2017 წლის საგრანტო კონკურსის ფარგლებში შემოგანილი 92 პროექტიდან დაფინანსდა 23 (წარმატების ინდექსი - 25%).

4.3. MR - 39 105 ლარი. აღნიშნული თანხა გათვალისწინებული იყო 2015-2016 წლების კონკურსების ვალდებულებების დასაფარად. 2017 წლის კონკურსის ფარგლებში შემოგანილი 118 პროექტიდან დაფინანსდა 30 (წარმატების ინდექსი 25.4%).

4.4. PHD F - 1 471 404 ლარი. აღნიშნული თანხიდან 420 823 ლარი გათვალისწინებული იყო 2017 წლის კონკურსში გამარჯვებული პროექტების დასაფინანსებლად, ხოლო 1 050 581 ლარი 2014-2016 წლების კონკურსების ვალდებულებების დასაფარად. 2017 წლის საგრანტო კონკურსის ფარგლებში შემოგანილი 238 პროექტიდან დაფინანსდა 41 (წარმატების ინდექსი - 17.22%).

4.5. VW - 827 722 ლარი. აღნიშნული თანხა გათვალისწინებული იყო 2017 წლის კონკურსში გამარჯვებული პროექტების დასაფინანსებლად.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2017 წელს განხორციელებული კონკურსები და პროგრამები

აღნიშნული კონკურსის თარგვლებში შემოგანილი 8 პროექტიდან დაფინანსდა 4 (ნარმაგების ინდექსი - 50%).

4.6. DAAD – 255 730 ლარი. აღნიშნული თანხა გათვალისწინებული იყო 2017 წლის კონკურსში გამარჯვებული პროექტების დასაფინანსებლად.

აღნიშნული კონკურსის თარგვლებში შემოგანილი 26 პროექტიდან დაფინანსდა 18 (ნარმაგების ინდექსი - 69%).

4.7. IG – 60 749 ლარი. აღნიშნული თანხა გათვალისწინებული იყო 2015-2016 წლების კონკურსების ვალდებულებების დასაფარად.

4.8. PHD P - 217 655 ლარი, გათვალისწინებულია 2016 წლის კონკურსის ვალდებულებების დასაფარად.

5. მეცნიერების ინტერნაციონალიზაცია - 1 229 436 ლარი.

5.1. STCU – 881 411 ლარი. აღნიშნული თანხა გათვალისწინებული იყო 2015-2016 წლების კონკურსების ვალდებულებების დასაფარად.

5.2. Juelich Center (MR, PhD) - 105 275 ლარი. აღნიშნული თანხიდან 30 499 ლარი გათვალისწინებული იყო 2017 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებულების დასაფინანსებლად, ხოლო - 74 776 ლარი 2014-2016 წლების კონკურსების ვალდებულებების დასაფარად.

5.3. Juelich Center (Quali-Start-Up ლექციების კურსი) - 40 301 ლარი.

5.4. CNRS PICS - 47 908 ლარი. აღნიშნული თანხა გათვალისწინებული იყო 2015 -2016 წლების კონკურსების ვალდებულებების დასაფარად.

5.5. TUBITAK -14 920 ლარი, გათვალისწინებული იყო 2016 წლის კონკურსის ვალდებულებების დასაფარად.

5.6. CNR -84 142 ლარი. აღნიშნული თანხიდან 36 100 ლარი გათვალისწინებული იყო 2017 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებულების დასაფინანსებლად, ხოლო 48 042 ლარი 2015 წლის კონკურსის ვალდებულებების დასაფარად.

2017 წლის კონკურსის თარგვლებში შემოგანილი 17 პროექტიდან დაფინანსდა 4 (ნარმაგების ინდექსი 23.5%).

5.7. IRG - 54 479 ლარი. აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია 2014 წლის კონკურსის ვალდებულებების დასაფარად.

6. სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების

ხელშეწყობა (მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა) - 1 119 9550 ლარი.

6.1. მონაცემთა ბაზა ELSEVIER – 740 400 ლარი;

6.2. ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი ELSEVIER – 379 550 ლარი;

7. გადასახადები საერთაშორისო ინსტიტუტებში/ცენტრებში - 5 328 385 ლარი.

7.1. „ჰორიზონტი 2020“ პროგრამის ასოცირების სანეგრო გადასახადი - 3 918 617 ლარი;

7.2. DUBNA - ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტი - 1 011 978 ლარი;

7.3. CERN - ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრი - 397 790 ლარი.

8. საგრანტო კონკურსების ადმინისტრირება - 694 200 ლარი

8.1. პროექტების ექსპერტიზა (შეგატარემა მომუშავეთა ანაზღაურება) – 74 050 ლარი;

8.2. პროექტების ექსპერტიზა (საექსპერტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა) – 620150 ლარი.

ფონდის მიზნობრივი გრანტების სრულმა ბიუჯეტმა 2017 წელს შეადგინა 1 726 624,79 ლარი.





აქედან:







1. «აღმოსავლეთ პარტნიორობა +» (EaP Plus) – 58 127,87 ლარი;

2. „შავი ზღვის ჰორიზონტი“ - 24 442,80 ლარი;

3. «აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი» (IncoNet EaP) – 45 194,12 ლარი;

4. ა(ა)იპ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ - 1 598 890 ლარი.





პრიორიტეტები

კონკურსები და პროგრამები

1

გამორჩეული
ხარისხის სამეცნიერო
კვლევების ხელშეწყობა
საქართველოში

საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტის კვლევების ხელშეწყობა

- 1.1 FR - ფუნდამენტური კვლევები
- 1.2 AR - გამოყენებითი კვლევები
- 1.3 DI - კვლევები უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა მონაწილეობით
- 1.4 SMART EDM Lab - ფონდისა და იულისხის ცენტრის ერთობლივი მიზნობრივი პროექტი

საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების განვითარება და

- 2.1 HE - საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის კვლევები
- 2.2 OU GSP - ოქსფორდის უნივერსიტეტისა და ფონდის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“

მეცნიერების პოპულარიზაცია

- 3.1 LEO - “ლეონარდო და ვინჩი” - მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსი
- 3.2 RPAA - ფონდის ყოველწლიური ჯილდო მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში მიღწევებისათვის
- 3.3 SCR - კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით
- 3.4 TGSP - სამიზნე გრანტები მეცნიერების პოპულარიზაციისთვის

2

ახალგაზრდა მეცნიერთა
განვითარება და
მოტივაციის ხელშეწყობა

1. MG - მოტივაციისა და საერთაშორისო დონისძიებების კონკურსი
2. YS - ახალგაზრდა მეცნიერთა (პოსტდოქტორანტების) კვლევითი გრანტების კონკურსი
3. PhDF - დოქტორანტების კვლევითი გრანტების კონკურსი
4. MR - მაგისტრანტთა კვლევითი გრანტების კონკურსი
5. IG - სამეცნიერო კვლევითი სტაჟირების პროგრამა
6. PhDP-სტრუქტურირებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

ბილატერალური და მულტილატერალური თანამშრომლობის

- 1.1 Forschungszentrum Jülich - გერმანიის იულისხის კვლევითი ცენტრი
- 1.2 DAAD-SRNSFG ახალგაზრდა მეცნიერთა ერთობლივი სტიპენდიები
- 1.3 VW - SRNSFG ერთობლივი სადოქტორო პროგრამები
- 1.4 CNRS - საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი
- 1.5 CNR - იტალიის კვლევების ეროვნული საბჭო
- 1.6 STCU - მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრი უკრაინაში
- 1.7 ISTC - საერთაშორისო მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრი
- 1.8 თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭო (TUBITAC);
- 1.9 აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების (EaP) და შავი ზღვის ქვეყნების რეგიონული თანამშრომლობის
- 1.10 აზიის ქვეყნებთან თანამშრომლობის პროგრამები (China, Japan)

3

მეცნიერების
ინტერნაციონალიზაცია

წლიური გადასახადები - წვდომა საერთაშორისო ბაზებზე და პროგრამები


- 2.1 CERN - ატომური კვლევების ევროპული ორგანიზაცია
- 2.2 DUBNA - ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტი
- 2.3 Horizon 2020 - პროგრამასთან ასოცირების გადასახადი
- 2.4 ELSEVIER-ის ბაზებზე წვდომა / საქართველოს სამეცნიერო ჟურნალების გამოცემა
- 2.5 Clarivate Analytics (Thomson Reuters: Web of science, Thomson Innovation) ბაზებზე წვდომა

4

STI დაფინანსების
დივერსიფიცირების
ხელშეწყობა

1. H2020PG - მოსამზადებელი გრანტები H2020 მონაწილეობის ხელშეწყობისთვის
2. RMSG - კვლევით უნივერსიტეტებსა და ცენტრებში კვლევის მენეჯმენტის განვითარების ხელშეწყობის
3. TADF - მიზნობრივი აქტივობები/დონისძიებები აკადემიურ და არაკადემიურ სექტორებს შორის

	სუბიექტები/ ბენეფიციარი	პროექტის ხანგრძლივობა	პროექტის შესადლო ბიუჯეტი
ობა საქართველოში	ინსტიტუციური გრანტი ხელმძღვანელი (PI) - PhD	1.1 - 2-3 წ. 1.2 - 2-4 წ. 1.2 - 1-3 წ. 1.4 - 5 წ.	1.1 150-210 K GEL 1.2 120-240 K GEL 1.3 150 - 210 K GEL 1.4 235 K EUR
ა პოპულარიზაცია			
"ერთობლივი კვლევითი პროგრამა	ინდივიდუალური გრანტი - (PI) - PhD	2.1 - 2 წ. 2.2 - 1 წ.	2.1 210-300 K GEL 2.2 30 K GBP
	ინდივიდუალური გრანტი		3.1 - 3.2 RPAA 4.5-8 K GEL 3.3 SCR 12 K GEL 3.4 TGSP 25 K GEL
	ინსტიტუციური გრანტი		
	PhD, PhD/MA stud. PhD postdoc PhD stud. MA stud. PhD stud./ postdoc ინსტიტუციური	1. 7/14დღე 2. 2 წ. 3. 0,5-3წ. 4. 4-10თვე 5. 2-8 თვე 6. 1-4 წ.	1. 5 - 60 K GEL 2. 60 K GEL 3. 10.5-63KGEL 4. 6 K GEL 5. 35K GEL 6. 25-245KGEL
პროგრამები			
	- MA & PhD stud. - PhD stud. Postdoc - ინსტიტუციური - PhD /კვლევ. ჯგ.	1.1 3 წ. 1.2 3-6 თვე 1.3 4 წ. 1.4 3 წ. 1.5 3 წ. 1.6 1-3 წ. 1.7 2 წ.	1.1 21-50,4K EUR 1.2 3.8-7.5KEUR 1.3 250-1000KEUR 1.4 30 K EUR 1.5 9 K EUR 1.6 140 K USD 1.7 -
ობის პროგრამები (Black Sea Horizon)	- ინსტიტუციური PI-PhD PhD / კვლევ. ჯგუფი	1.8 2-3 წ. 1.9 2-3 წ. 1.10 2-3 წ.	1.8 11 K EUR 1.9 - 1.10 -
გრამებში ასოცირება			
	უსდ/ ინსტ. კონსორციუმი		
ბა	ინდივიდუალური	1. 3 -12 თვე 2. 3 -12 თვე	5-60 K GEL
ანამშრომლობის ხელშეწყობისთვის	ინსტიტუციური / PI - PhD	3. 1-12 თვე	






კონკურსების აბრევიატურების განმარტება

პროგრამების აბრევიატურები	პროგრამები
FR	ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსი
AR	გამოყენებითი კვლევების საგრანტო კონკურსი
DI	კვლევები უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით
SMART EDM Lab	ფონდისა და იულისის ცენტრის ერთობლივი მიზნობრივი პროექტი
HE	საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევებისათვის სახელმწიფო საგრანტო კონკურსი
UO GSP	უცხოეთში საქართველოს შესწავლის ცენტრებისა და პროგრამების ხელშეწყობის საგრანტო კონკურსი
LEO	მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა პროგრამა „ლეონარდო და ვინჩი“
AAwards	შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდო წლის საუკეთესო მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფისათვის
SCR	კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით საგრანტო კონკურსი
MG (CG/SS/TG)	მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის საგრანტო კონკურსი (ინდივიდუალური სამოგზაურო, საკონფერენციო და სეზონური სკოლების გრანტები)
PhD F	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსი
MR	სამაგისტრო კვლევების საგრანტო კონკურსი
YS	ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების საგრანტო კონკურსი
PhD P	სტრუქტურირებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება
SRNSFG - DAAD	შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის საგრანტო კონკურსი
SRNSFG - VW	საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება - ფოლკსვაგენის ფონდთან ერთობლივი თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა
Juelich Center – MR, - PhD	შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულისის კვლევითი ცენტრის პროგრამა მაგისტრანტებისთვის და დოქტორანტებისთვის
STCU	შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის საგრანტო კონკურსი
SRNSFG-CNR	შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი
SRNSFG - CNRS PICS	შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი
SRNSFG -TUBITAK	თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი

ფონდის 2017 წლის პროგრამული ხარჯები და წარმატების ინდექსი კონკურსების მიხედვით

	პროგრამები	2017 წლის ხარჯები	2017 წლის დაბეჭდილი პროექტების სრული ზოგადი ზოგადობა	2017 წლის კონკურსებზე გაწეული ხარჯები	შემაჯავრობების პროექტების რაოდენობა	დაფინანსებული პროექტების რაოდენობა	2017 წლის კონკურსების წარმატების ინდექსი %	2014-2016 წლების ვალდებულებებზე გაწეული ხარჯი	2017 წლის ჯამური საკაპიტი ხარჯი
1	სამეცნიერო კვლევების ტელეშეწოდების პროგრამები:								
1.1	FR(2014-2017)	11,608,989	14,394,585 €	2,677,115	601	86	14%	8,931,702	11,608,817
1.2	AR(2016)	3,003,271						3,003,271	3,003,271
1.2	DI(2014-2016)	1,151,542						1,151,542	1,151,542
1.3	JÜLICH EDM SMART LAB	249,000	138,000 € 180,000 €	248,340	1	1			248,340
	ჯამი (1)	16,012,802		2,925,455	602	73	12%	13,086,514	16,011,969
2	სატრიატელონის შემსწავლელი მეცნიერებებისა და კვლევების ტელეშეწოდების პროგრამები:								
2.1	HE(2015,2017)	809,246	613,537 €	198,785	55	4	7%	610,446	809,231
2.2	OXFOR GSP(2017)	201,000	40,000 €	200,982	9	2	22%		200,982
	ჯამი (2)	1,010,246		399,767	64	6	9%	610,446	1,010,213
3	მეცნიერების პოპულარიზაციის პროგრამები:								
3.1	AA	35,000		35,000	60	6	10%		35,000
3.2	LEO	34,765		11,214	44	4	9%	17,160	28,374
3.2	SCR	54,000	53,750 €	53,750	21	5	24%		53,750
	ჯამი (3)	123,765		99,964	125	15	12%	17,160	117,124
4	ახალგაზრდა მეცნიერთა გადართვა და მომზადების ტელეშეწოდება								
4.1	MG (TG) 2016,2017	160,710	70,000 €	154,837	131	35	27%	5,249	160,085
4.2	MG (CG, CE, SS)2015-2017	640,686	689,894 €	621,479	46	14	30%	18,806	640,285
4.3	YS	1,633,855	1,232,126 €	329,998	92	23	25%	1,303,855	1,633,853
4.4	MR	39,105			118	30	25%	39,078	39,078
4.5	PhD F	1,471,404	1,352,382 €	420,823	238	41	17%	1,050,443	1,471,266
4.6	VW	827,722	1,075,510 €	827,507	8	4	50%		827,507
4.7	DAAD	255,730	67,660 €	251,335	26	18	69%		251,335
4.8	IG 2015,2016	60,749						60,204	60,204
4.9	PhDP(2016)	217,655						217,654	217,654
	ჯამი (4)	5,307,616		2,605,998	659	165	25%	2,695,288	5,301,287
5	მეცნიერების ინტერნაციონალიზაცია								
5.1	STCU (2015,2016)	881,411			62	10	16%	881,170	881,170
5.2	ქალბ. Ph.D, M.A (2014-2017)	105,275	85,680 €	30,414	3	3	100%	74,713	105,127
5.3	ქალბ. Center (კვლ.-მეთ.-სპ. ლექციების კურსი) (2017)	40,301	25,000 €	40,301	90	21	23%		40,301
5.4	CNRS PICS (2015-2016)	47,908			4	1	25%	47,908	47,908
5.5	TUBITAK (2016)	14,920			23	1	4%	14,920	14,920
5.6	CNR (2015,2017)	84,142	24,000 €	36,080	17	4	24%	48,042	84,122
5.7	IRG(2014)	55,479						55,478	55,478
	ჯამი (5)	1,229,436		106,795	199	40	20%	1,122,230	1,229,025
	ჯამი	23,683,865		6,137,979	1649	299	18%	17,531,639	23,669,618



ფონდის 2017 წლის მიმდინარე კონკურსები, რიონდლთა შედეგები ცნობილი განხილვა 2018 წელს

#	პროგრამები	2018 წლის ბიუჯეტი	შეზღუდული პროექტების რაოდენობა	შედეგები
1	STCU	503850	85	მეორე ეტაპზე გავიდა 25 პროექტი
2	TUBITAK (Turkey)	75200		მიმდინარეობს კონკურსი
3	CNRS PICS (France)	62200	4	მიმდინარეობს კონკურსის შეფასება
4	MR	165000	118	30
ჯამი:		803,850		

სამეცნიერო - საინფორმაციო და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარება

#	საერთაშორისო გადასახადები	2017 წლის ბიუჯეტი	2017 წლის გადარიცხვა
1	სამეცნიერო ინფრასტრუქტურის ხელშეწყობა		
1.1	ELSEVIER - მონაცემთა ბაზა	740,400	740,389
1.2	ELSEVIER - ის ბაზაზე 2 ქართული ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის გამოცემა	379,550	379,306
ჯამი:		1,119,950	1,119,695
2	გადასახადები საერთაშორისო ინსტიტუტებში/ცენტრებში		
2.1	CERN- ატომური კვლევების ევროპული ორგანიზაცია	397,790	397,786
2.2	DUBNA -ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტი	1,011,978	1,011,977
2.3	HORIZON 2020 - საწევრო გადასახადი	3,918,617	3,918,617
ჯამი:		5,328,385	5,328,379

2017 წლის ფონდის საგრანტო კონკურსების ადმინისტრირება: ექსპერტიზა და ეფექტიანობის შეფასება

#	ხარჯის სახეობა	2017 წლის ბიუჯეტი	2017 წლის გაწეული ხარჯი
1	პროექტების ექსპერტიზა ადგილობრივი ექსპერტების მონაწილეობით (შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება)	74,050	73,888
2	პროექტების ექსპერტიზა საერთაშორისო ორგანიზაციების/ექსპერტების მონაწილეობით	620,150	619,995
ჯამი:		694,200	693,864

Nz	შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	2017 წლის დაბუღებული გეგმა	პროცენტული მარცვრებული
1	შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროგრამები და გრანტები	30,826,400.00	96.31%
1.1	2017 წლის პროგრამის კონკურსები	6,144,771.00	19.92%
1.2	სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა (მონაწილეობა სხვადასხვა სახის პროექტებში)	1,119,950.00	3.62%
1.3	გადასახადები საერთაშორისო ინსტიტუტებში/ცენტრებში	1,320,371.00	4.28%
1.4	საგრანტო კონკურსების ადმინისტრირება	694,200.00	2.17%
1.5	2014-2018 წლის კონკურსების გამოცემა	17,557,098.00	56.90%
2	შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის აპარატი	1,179,613.00	3.69%
ჯამი:		32,006,013.00	

1

გამორჩეული ხარისხის სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა საქართველოში


ფუნდამენტური კვლევები;

**საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებებისა და კვლევების
ხელშეწყობა:**

- უცხოეთში საქართველოს შესწავლის ცენტრებისა და პროგრამების ხელშეწყობა (OXFORD);
- საზღვარგარეთ არსებული ქართული მაგერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევებისათვის სახელმწიფო საგრანტო კონკურსი

მეცნიერების პოპულარიზაცია:

- მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა პროგრამა „ლეონარდო და ვინჩი“;
- შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდო წლის საუკეთესო მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფისათვის;
- კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით საგრანტო კონკურსი.




გამორჩეული ხარისხის სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა

ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსი


კონკურსის მიზანია: ახალი ცოდნის შექმნა, ახალი იდეებისა და კონცეფციების, მოვლენებისა და ფაქტების, თეორიებისა და მოდელების თეორიული და ექსპერიმენტული შესწავლა-ანალიზი, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, კულტურულ და საინფორმაციო-ტექნოლოგიურ პროგრესს. სამიზნე ჯგუფები: უნივერსიტეტები, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრები, სამეცნიერო ინსტიტუტები და მათში მოღვაწე მეცნიერები.

- დამტკიცებული პროექტების 2017 წლის ბიუჯეტი - 2 667 115 ლარი
- კონკურსზე დარეგისტრირებული პროექტების საერთო ბიუჯეტი - 14 298 567 ლარი
- პროექტის ერთი წლის მაქსიმალური ბიუჯეტი:
 - საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; ინჟინერია და ტექნოლოგიები; სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები; აგრარული მეცნიერებები - 70 000 ლარი, ხოლო პროექტის შესაძლო მაქსიმალური ბიუჯეტი: 210 000 ლარი
 - სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებებისათვის - 50 000 ლარი, პროექტის შესაძლო მაქსიმალური ბიუჯეტი - 150 000 ლარი
- კონკურსზე დარეგისტრირდა - 601 პროექტი, ტექნიკური ექსპერტიზის შედეგად შესაფასებლად გაიგზავნა 415 პროექტი
- დაფინანსდა: 86 პროექტი და 428 მეცნიერი
- პროექტების ხანგრძლივობა - 14-36 თვე
- განხორციელების პერიოდი - 25/12/2017-25/12/2020


გამარჯვებული პროექტების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით



დაფინანსების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით




პროექტებში სამეცნიერო ხელმძღვანელთა განაწილება გენდერის მიხედვით




ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსი

გამარჯვებული პროექტების განაწილება ინსტიტუტების მიხედვით




ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი
სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
გ. ელიავას სახ. ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და...
კავკასიის უნივერსიტეტი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კორ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და...
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი
ჯანმრთელობის კვლევის კავშირი
რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია
გეომეცნიერებების და ტექნოლოგიების განვითარების ინსტიტუტი
საქართველოს ეროვნული მუზეუმი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო...
სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი
კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი
თბ. აპოლონ ქუთათელაძის სახ. სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი


გამარჯვებული პროექტებში საერთაშორისო თანამშრომლობა ქვეყნების მიხედვით



პროექტებში სამეცნიერო ხელმძღვანელთა ასაკობრივი განაწილება



დაფინანსების განაწილება ინსტიტუტების მიხედვით



შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამა


კონკურსის მიზანი: საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებებისა და ქართველოლოგიის ტრადიციული მიმართულებების, ასევე, თანამედროვე ინტერდისციპლინური კვლევების განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში. საქართველოს შემსწავლელი კვლევითი ცენტრების და აკადემიური პროგრამები დაფინანსება დასავლეთის ალიარებულ, საერთაშორისო უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და ცენტრებში, რაც ნაახალისებს საქართველოს და ზოგადად რეგიონის

გამოყენებით თანამშრომლური კონტაქტებისა და კვლევით კონსორციუმების ჩამოყალიბება, ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო მდგრადი თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

სამიზნე ჯგუფი: საქართველოს მოქალაქე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სამეცნიერო - კვლევით ინსტიტუტებში ან დამოუკიდებელ კვლევითი ცენტრებში მოღვაწე მეცნიერები.


პროექტების საერთო ბიუჯეტი - 200 982 ლარი
კონკურსზე დარეგისტრირდა - 9 პროექტი
დაფინანსდა -2 პროექტი, 2 მეცნიერი
პროექტების ხანგრძლივობაა - 12 თვე
განხორციელების პერიოდი - 18/01/2018-18/01/2019

დაფინანსებული პროექტები სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით




შემსწავლელი კვლევების განხორციელებას საერთაშორისო სტანდარტების დაცვით და უცხოელ მკვლევართა თანამონაწილეობით. აღნიშნული ცენტრებისა და პროგრამების საშუალებით საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში ახალგაზრდა მკვლევარების მოზიდვის ნაახალისება, მათი სამეცნიერო პოტენციალის ზრდა, ქვეყნის ისტორიის, დამწერლობის, კულტურის, ენისა და ლიტერატურის, არქეოლოგიისა და ხელოვნების, რელიგიისა, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გრანსფორმაციის თანამედროვე კვლევების შედეგების გავრცელება საერთაშორისო აკადემიურ ქსელში კონფერენციებსა და სემინარების მეშვეობით, საქართველოსა და რეგიონის შემსწავლელი თანამედროვე კვლევების

გრანტორთა განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით



დაფინანსების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით




საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტები


კონკურსის მიზანი: ხელი შეუწყოს საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული ისტორიული ძეგლების, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების, ნერილობითი და სხვა სახის ნყარობების, საარქივო მასალის, ეთნოგრაფიული მონაცემების მაღალ სამეცნიერო დონეზე შესწავლის, მათ მოძიების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის, ქართველი ერის ინტელექტუალური და ნივთიერი მემკვიდრეობის კვლევის პოპულარიზაციისა და ამ სფეროში ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მოზიდვის ხელშეწყობა.

სამიზნე ჯგუფი: საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტები, დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრები და მათში მოღვაწე მეცნიერები.

გამარჯვებული პროექტები ინსტიტუციების მიხედვით



დაფინანსებული პროექტების სამეცნიერო მიმართულება -საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები




დაფინანსების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით




საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტები

ძირითადი პერსონალის ასაკობრივი
მონაცემები



პროექტებში ძირითადი პერსონალის გენდერული
განაწილება



პროექტების საერთო ბიუჯეტი -
812 537 ლარი

დამტკიცებული პროექტების
2017 წლის ბიუჯეტი -
198 785 ლარი


კონკურსზე დარეგისტრირდა -
55 პროექტი

დაფინანსდა : 4 პროექტი, 20
მეცნიერი


პროექტების ხანგრძლივობა -
36 თვე

განხორციელების პერიოდი -
15/01/2017-15/01/2020

გამარჯვებული პროექტებით გათვალისწინებული
კვლევის განხორციელების ადგილი
(ქვეყნების მიხედვით)



ძირითადი პერსონალის განაწილება აკადემიური
ხარისხის მიხედვით



მეცნიერების პოპულარიზაცია


მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“

კონკურსის მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა; სასწავლო პროცესის სტიმულირება-სრულყოფა, სწავლისადმი ინტერესის გაღვივება; ინოვაციებისა და ტექნიკის მიმართ მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება; შემოქმედებითი აზროვნებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება.


კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელიც არის საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (სახელმწიფო და კერძო სკოლების) VII-XII კლასის მოსწავლე.

პროექტების საერთო ბიუჯეტი - 20 000 ლარი
კონკურსზე დარეგისტრირდა - 44 პროექტი
კონკურსში მონაწილეობდა - 100 მოსწავლე
დაფინანსდა : 4 პროექტი, 11 მოსწავლე
განხორციელების პერიოდი - 07/02/2017-15/11/2017


გამარჯვებული პროექტების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით




გამარჯვებული პროექტები სკოლების მიხედვით



გამარჯვებული მოსწავლეები გენდერის მიხედვით



გამარჯვებული მოსწავლეები კლასის მიხედვით



„შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდოს დაწესებისა და 2017 წლის საუკეთესო მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფისთვის“ კონკურსი


კონკურსის მიზანია საქართველოს და საერთაშორისო მკვლევართა ნახალისება მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში აქტიური და ნაყოფიერი მოღვაწეობისა და ჩართულობის მიზნით, აგრეთვე განეული განსაკუთრებული მიღწევების დაფასებისათვის, საქართველოს მეცნიერებისა და საქართველოს შესახებ კვლევების ნახალისებისა და პოპულარიზაციისათვის. კონკურსი ითვალისწინებს ერთჯერადი ჯილდოთი მეცნიერის/კვლევითი ჯგუფის დაჯილდოებას. 2017 წლის კონკურსში ფონდის ჯილდო გაიცა შემდეგ კატეგორიებში:

- ქართველოლოგიის დარგში მოღვაწე წლის საუკეთესო უცხოელი მეცნიერი;
- საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში მოღვაწე 2017 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერი;
- საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში მოღვაწე 2017 წლის საუკეთესო მეცნიერი;
- 2017 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერი;
- 2017 წლის საუკეთესო მეცნიერი;
- 2017 წლის საუკეთესო სამეცნიერო კვლევითი ჯგუფი.

დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტი - 35 000 ლარი

კონკურსზე დარეგისტრირდა - 60 მეცნიერი
დაფინანსდა - 6 პროექტი, 8 მეცნიერი


დაფინანსებული პროექტები სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით




გამარჯვებული მეცნიერები ინსტიტუტების მიხედვით



გამარჯვებულთა ასაკობრივი მონაცემები



გრანტების განაწილება გენდერის მიხედვით




„მეცნიერება იწყება სკოლიდან - კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ კონკურსი

კონკურსის მიზანია მეცნიერებისა და კვლევების პოპულარიზაცია და პროპაგანდა სამეცნიერო-კვლევით პროცესში საჯარო სკოლების მოსწავლეთა აქტიური ჩართვის გზით. კონკურსის საფუძველზე ფინანსდება პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს მეცნიერის ხელმძღვანელობით სკოლის მოსწავლეებისაგან დაკომპლექტებული გუნდის მიერ სასკოლო დონის შესაბამისი კვლევის ჩატარებას. კონკურსის მიზანია მობარდების სამეცნიერო კარიერით დაინტერესება, სკოლებში სასწავლო პროცესში კვლევის ინტეგრაციის სტიმულირება, საზოგადოების დაინტერესება სასკოლო დონეზე კვლევების ხელშეწყობის თვალსაზრისით, საერთაშორისო კვლევით არეალში ქართველ მოსწავლეთა ჩართვის ხელშეწყობა.

კონკურსის სამიზნე ჯგუფი: ლიდერთა ჯგუფი: მეცნიერ-ხელმძღვანელი (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი), თანახელმძღვანელი, ასისტენტი (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი) და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება-სკოლის მოსწავლეებელი (VIII, IX, X, XI ან/და XII კლასების მოსწავლეებთან მომუშავე მოქმედი მასწავლებელი) და VIII, IX, X, XI ან/და XII კლასების საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები.


დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტი - 53 750 ლარი

კონკურსზე დარეგისტრირდა - 21 პროექტი




დაფინანსდა - 5 პროექტი, 15 მეცნიერი და პედაგოგი (ლიდერთა ჯგუფი), მონაწილეობს- 63 მოსწავლე განხორციელების პერიოდი - 24/03/17-21/06/17


დაფინანსებული პროექტები სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით




გამარჯვებული პროექტები სკოლების მიხედვით



გამარჯვებულ პროექტებში ჩართული მოსწავლეები კლასის მიხედვით





2

ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარება და მობილობის ხელშეწყობა

- ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი გრანტები;
- დოქტორანტების გრანტები;
- სამაგისტრო კვლევების გრანტები;
- დოქტორანტურის ერთობლივი, სტრუქტურირებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება - ფულესვაგენის ფონდთან ერთობლივი თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა(WV);
- რუსთაველი-DAAD-ის ერთობლივი სტიპენდიების პროგრამა ახალგაზრდა მეცნიერთათვის;
- მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების გრანტით დაფინანსების კონკურსი (ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტები; საკონფერენციო გრანტები; სემინარი სკოლების გრანტები).

ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარება და მობილობის ხელშეწყობა


ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი გრანტები

კონკურსის მიზანია: ნიჭიერი, ახალგაზრდა მეცნიერების გამოვლენა და წახალისება ღია კონკურსის საფუძველზე. ინდივიდუალური ინოვაციური კვლევითი პროექტების დაფინანსების გზით, ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მხარდაჭერით კვლევების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა, კვლევითი უნარ-ჩვევებისა და თემატური, ან ინტერდისციპლინური მიმართულებით სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავება, მკვლევართა ახალგაზრდა თაობის განვითარება და ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის ზრდა. აგრეთვე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერება და გაუმჯობესება.


კონკურსის სამიზნე ჯგუფი - საქართველოს მოქალაქე, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების თარიღამდე ბოლო 7 წლის განმავლობაში.

დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტი - 1 232 138 ლარი
დამტკიცებული პროექტების 2017 წლის ბიუჯეტი - 329 998 ლარი
კონკურსზე დარეგისტრირდა - 92 პროექტი
დაფინანსდა - 23 პროექტი
პროექტების ხანგრძლივობა - 24 თვე
განხორციელების პერიოდი - 12.2017-12.2019


დაფინანსებული პროექტები სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით



დაფინანსების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით



გრანტების განაწილება გენდერის მიხედვით




ასალგაზრდა მეცნიერთა განვითარება და მობილობის ხელშეწყობა

გამარჯვებული პროექტები ინსტიტუტების მიხედვით



გრანტიორთა ასაკობრივი მონაცემები




დაფინანსების განაწილება ინსტიტუტების მიხედვით




დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსი

კონკურსის მიზანი: უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული ინტელექტუალური პოტენციალის მიზნობრივი გამოყენება და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო კვლევისათვის სათანადო პირობების შექმნა; წარმატებული, ნიჭიერი ახალგაზრდა მკვლევარების გამოვლენა, მათი სადოქტორო კვლევების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში განხორციელების ხელშეწყობით საქართველოში სამეცნიერო კვლევების ხარისხის ზრდა და ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრირება; საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის გაუმჯობესება, სადოქტორო პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება და უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება.


დაფინანსებული პროექტები სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით




დაფინანსების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით



გრანტების განაწილება გენდერის მიხედვით




გრანტიორთა ასაკობრივი მონაცემები



დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსი

დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტი - 1
332 732 ლარი
დამტკიცებული პროექტების 2017 წლის ბიუჯეტი -
420 823 ლარი
კონკურსზე დარეგისტრირდა - 238 პროექტი
დაფინანსდა - 41 პროექტი
პროექტების ხანგრძლივობა - 2-6 სასწავლო
სემესტრი
განხორციელების პერიოდი - 10/2017-11/2020


გამარჯვებული პროექტებში საერთაშორისო თანამშრომლობა
ქვეყნების მიხედვით (კვლევითი ვიზიტი)



გამარჯვებული პროექტები ინსტიტუტების მიხედვით



დაფინანსების განაწილება ინსტიტუტების მიხედვით



სამაგისტრო კვლევების საგრანტო კონკურსი

კონკურსის მიზანია: მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული მაგისტრანტების სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაზრდის, აკადემიური დონის ამაღლებისა და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა, ასევე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაუმჯობესების, სწავლის პროცესში კვლევის ინტეგრაციისა და თემატური და/ან ინტერდისციპლინური მიმართულებით კვლევითი აქტივობის განვითარების ხელშეწყობა.


კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს მოქალაქე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ, სტუდენტის აქტიური სტატუსის მქონე მაგისტრანტს. გრანტის მიღების პერიოდში მაგისტრანტი უნდა იყოს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი ან დამამთავრებლის წინა სემესტრის სტუდენტი.

2017 წლის კონკურსის ბიუჯეტი - 165 000 ლარი


კონკურსზე დარეგისტრირდა - 118 პროექტი

დაფინანსდა - 30 პროექტი


გრანტების განაწილება გენდერის მიხედვით




გამარჯვებული პროექტების განაწილება მიმართულებების მიხედვით



დაფინანსების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით



გამარჯვებული პროექტები ინსტიტუტების მიხედვით



პროექტების ხანგრძლივობა - 4-10 თვე

განხორციელების პერიოდი - 01/01/2018 - 31/10/2018

დოქტორანტურის ერთობლივი, სტრუქტურირებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება - ფოლკსვაგენის ფონდთან ერთობლივი თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა (VW ფონდი)

კონკურსის მიზანია ქართველ მეცნიერთა საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობა და გერმანიის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით ევროპული სტანდარტის შესაბამისი დოქტორანტურის სტრუქტურირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა. მიზნობრივი პროექტი მიმართულია კვლევითი პროექტების დაფინანსების გზით დოქტორანტებისა და პოსტდოქტორანტების, ნიჭიერ, ახალგაზრდა მეცნიერთა გამოვლენისკენ და მათი სამეცნიერო პოტენციალის განვითარებისკენ, ორმხრივი მიზნობრივი თანამშრომლური შეთანხმებების საფუძველზე დაფინანსდება ფონდისა და VW ფონდის ერთობლივი საგრანტო პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარებას, ახალგაზრდა თაობის ნახალისებას, მათ ინტეგრირებას საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით სივრცეში. კონკურსის სამიზნე ჯგუფი: საქართველოს


დაფინანსების განაწილება ინსტიტუტების მიხედვით




უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტირებული სადოქტორო პროგრამების დოქტორანტები და პოსტდოქტორანტები

2017 წლის კონკურსის ბიუჯეტი - 827 507 ლარი
კონკურსზე დარეგისტრირდა - 8 პროექტი

დაფინანსებული პროექტები სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით



დაფინანსების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით



გამარჯვებული პროექტები ინსტიტუტების მიხედვით



დაფინანსდა - 4 პროექტი
კვლევითი პროექტის ხანგრძლივობა - 48 თვე
განხორციელების პერიოდი - 12/2017-12/2020


მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი

მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი აერთიანებს ფონდის მიერ 2016 წლის ჩათვლით აღმინისტრირებულ მოკლევადიან ინდივიდუალურ სამოგზაურო, საკონფერენციო და სემინარულ სკოლების საგრანტო კონკურსებს.

კონკურსის მიზანია ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად, გაძლიერდეს ადგილობრივი სამეცნიერო პოტენციალი და ხელი შეეწყოს მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში ინტეგრაციასა და თანამშრომლობას, მეცნიერების განვითარებასა და პოპულარიზაციას, ახალი კადრების მეცნიერებაში მოზიდვასა და ახალგაზრდა მეცნიერთა კვალიფიკაციის ამაღლებას. აგრეთვე, სამეცნიერო პროექტების საერთაშორისო ჟურნალებისა და სამეცნიერო კრებულებში დაბეჭდვის შესაძლებლობის გაზრდა.


დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტი - 834 694 ლარი
კონკურსზე დარეგისტრირდა - 177 პროექტი
დაფინანსდა - 49 პროექტი
ინდივიდუალური სამოგზაურო პროექტების საერთო ბიუჯეტი - 175 000 ლარი
დაფინანსდა - 35 პროექტი
პროექტების ხანგრძლივობა - 8 დღე
განხორციელების პერიოდი - 10/09/2017-28/02/2018

კომბინირებული სამეცნიერო ღონისძიებების პროექტების საერთო ბიუჯეტი - 424344 ლარი
კომბინირებული (საკონფერენციო და სემინარული სკოლა ერთად) ღონისძიებები - 235 350 ლარი




ინდივიდუალური სამოგზაურო პროექტები


დაფინანსებული პროექტები სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით




დაფინანსების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით



გრანტიორთა ასაკობრივი მონაცემები




დაფინანსდა - 14 პროექტი
განხორციელების პერიოდი - 10/09/2017-30/06/2018




მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი

საკონფერენციო და კომბინირებული ღონისძიებების გრანტები


დაფინანსებული პროექტები სამეცნიერო
მიმართულებების მიხედვით




დაფინანსების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების
მიხედვით




გამარჯვებული პროექტების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით




გრანტორთა ასაკობრივი მონაცემები



გრანტების განაწილება გენდერის მიხედვით




დაფინანსების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით




მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი


საერთაშორისო კონფერენციების საგრანტო
პროექტების განაწილება სამეცნიერო
მიმართულებების მიხედვით





კომბინირებული ღონისძიებების საგრანტო
პროექტების განაწილება სამეცნიერო
მიმართულებების მიხედვით



საერთაშორისო კონფერენციების საგრანტო
პროექტების დაფინანსების განაწილება სამეცნიერო
მიმართულებების მიხედვით



კომბინირებული ღონისძიებების საგრანტო
პროექტების დაფინანსების განაწილება
სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით




რუსთაველი-DAAD-ის ერთობლივი სტიპენდიების პროგრამა ახალგაზრდა მეცნიერთათვის

კონკურსის მიზანია საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა მოტივაციის გაზრდით მათი საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობა. მიზნობრივი პროექტები მიმართული იქნება ნიჭიერ, ახალგაზრდა მეცნიერთა გამოვლენისკენ და მათი სამეცნიერო პოტენციალის განვითარებისკენ, დოქტორანტებისა და პოსტდოქტორანტების სასწავლო-კვლევითი სტიპენდიების დაფინანსების გზით. ორმხრივი მიზნობრივი თანამშრომლობით შეთანხმებების საფუძველზე დაფინანსდება ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის ერთობლივი საგრანტო პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის განვითარებას, მათ ინტეგრირებას საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით სივრცეში.


კონკურსის სამიზნე ჯგუფი: საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტირებული სადოქტორო პროგრამების დოქტორანტები და პოსტდოქტორანტები.

დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტი - 251 355 ლარი
კონკურსზე დარეგისტრირდა - 25 პროექტი
დაფინანსდა - 18 პროექტი
პროექტების ხანგრძლივობაა:
დოქტორანტებისათვის - 3-6 თვე,
პოსტდოქტორანტებისთვის - 4-6 თვე
განხორციელების პერიოდი - 01/06/2017-30/11/2017


დაფინანსებული პროექტები სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით






დაფინანსების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით



გრანტების განაწილება გენდერის მიხედვით



რუსთაველი-DAAD-ის ერთობლივი სტიპენდიების პროგრამა ახალგაზრდა მეცნიერთათვის



3

მეცნიერების ინტერნაციონალიზაცია:

- CNRS Pics
- TUBITAK
- STCU
- JUELICH CENTER (PhD, MA)
- CNR
- ევროკავშირის პროგრამები (H2020-Black Sea Horizon; ERC, EAP PLUS)

სამეცნიერო საინფორმაციო და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარება:

ELSEVIER BV, Scopus ელექტრონული ჟურნალების ბაზაზე წვდომა სახელმწიფო უნივერსიტეტების, კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრებისთვის.

ფონდისა და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის (CNRS Pics) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო 2016 წლის კონკურსი

საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო გრანტების კონკურსის „საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის პროექტი“ (The International Scientific Cooperation Project - Pics) ფარგლებში გამოცხადებული საგრანტო კონკურსის მიზანია მეცნიერების სფეროში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავება – გაფართოება და ქართულ მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის ამაღლება, ახალგაზრდა მეცნიერთა ერთობლივ კვლევებში აქტიური ჩართვა და ევროპულ სამეცნიერო-კვლევით სივრცეში მათი ინტეგრაციის ხელშეწყობა, საქართველოს კვლევის ინტერნაციონალიზაცია საერთაშორისო სამეცნიერო ჯგუფებთან მჭიდრო პარტნიორობის დამყარების გზით. პროგრამა CNRS Pics ასევე, ითვალისწინებს საფრანგეთისა და უცხო ქვეყნის მოქალაქე მეცნიერთა ჯგუფებს შორის უკვე არსებული თანამშრომლობის გაღრმავებასა და ახალი კოლაბორაციული საერთაშორისო ჯგუფების/ქსელის შექმნას.


სამიზნე ჯგუფი: საქართველოსა და საფრანგეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრები, სამეცნიერო ინსტიტუტები და მათში მოღვაწე მეცნიერები.

დაფინანსებული პროექტის საერთო ბიუჯეტი - 24 000 ევრო

დამტკიცებული პროექტების 2017 წლის ბიუჯეტი - 21 013 ლარი

კონკურსზე დარეგისტრირდა - 4 პროექტი

დაფინანსდა - 1 პროექტი, 3 მეცნიერი



პროექტების ხანგრძლივობა - 36 თვე
განხორციელების პერიოდი - 04/2017-/04/2020

ფონდისა და თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოს (TUBITAK) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო 2016 წლის კონკურსი


კონკურსის მიზანია მეცნიერების სფეროში საქართველოსა და თურქეთს შორის თანამშრომლობის გაღრმავება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების მეცნიერთა ჯგუფებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობის, ორი ქვეყნის მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი მობილობისა და ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელების გზით.

კონკურსი ითვალისწინებს საგრანტო დაფინანსებას: ერთობლივი კვლევითი პროექტების განსახორციელებლად; მეცნიერთა მოკლევადიანი სამეცნიერო-კვლევითი გაცვლითი ვიზიტების განსახორციელებლად;

სამიზნე ჯგუფი: ერთობლივი კვლევითი პროექტის წარდგენის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქე მეცნიერთა ჯგუფს და თურქეთის მეცნიერთა ჯგუფს ერთობლივად. ერთობლივი კვლევითი პროექტის წარმდგენ მეცნიერთა ჯგუფს საქართველოდან უნდა ჰყავდეს პროექტის ხელმძღვანელი საქართველოდან, ხოლო მეცნიერთა ჯგუფს თურქეთიდან - პროექტის ხელმძღვანელი თურქეთიდან. ინდივიდუალური სამეცნიერო-კვლევითი ვიზიტის პროექტის წარდგენის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქე:

ა) მაგისტრანტებს, დოქტორანტებს და 35 წლამდე მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებს; ბ) დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე

პროექტის მონაწილეთა გენდერული განაწილება



პირებს.

დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტი - 29 770 ლარი
პროექტების ხანგრძლივობა - 12-24 თვე
დამგვიცემი პროექტების 2017 წლის ბიუჯეტი - 14 920 ლარი
კონკურსზე დარეგისტრირდა - 23 პროექტი
დაფინანსდა - 1 პროექტი, 5 მეცნიერი
განხორციელების პერიოდი - 06/2017-06/2019

დაფინანსებული პროექტების სამეცნიერო მიმართულება - საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში

დაფინანსებული პროექტის ინსტიტუცია - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

1

დაფინანსებული პროექტების რაოდენობა

1

დაფინანსებული პროექტის ბიუჯეტი

29770

ძირითადი პერსონალის განაწილება აკადემიური ხარისხის მიხედვით

დოქტორი

3


მაგისტრი

1

მაგისტრანტი

1

ძირითადი პერსონალის ასაკობრივი მონაცემები




მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში 2016 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი


კონკურსის მიზანი: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ინჟინერიისა და ტექნოლოგიების (ბიოტექნოლოგია) სფეროში არსებული, მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების გამოვლენის ხელშეწყობა, კვლევითი და სასწავლო პროცესის ინტეგრირება და გრძელვადიანი (5-7 წლიანი) კვლევითი პროექტების დაფინანსება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მაღალი ხარისხის, საერთაშორისო სტანდარტის სამეცნიერო კვლევების განხორციელებას ზუსტი, საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მიმართულებებით (STEM). აღნიშნული სამეცნიერო მიმართულებების განვითარება სტრატეგიულ პრიორიტეტებად არის მიჩნეული ქვეყნის ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური პროგრესის ხელშეწყობისათვის. მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია როგორც დარგობრივი, ასევე, ინტერდისციპლინური კვლევითი ჯგუფების დაფინანსება. აქცენტი კეთდება: საერთაშორისო სტანდარტების, უმაღლესი ხარისხის სამეცნიერო კვლევის წარმოებაზე, სამეცნიერო წრის ინტერნაციონალიზაციაზე, ქართულ მეცნიერთა საქართველოში დაბრუნებასა და საერთაშორისო მკვლევარებისა და ადგილობრივი ახალგაზრდა მეცნიერების, მათ შორის ნიჭიერი, წარმატებული მაგისტრანტებისა და დოქტორანტების აქტიური მონაწილეობით საერთაშორისო წამყვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან გრძელვადიანი თანამშრომლობით მსოფლიო სტანდარტის კვლევებში ჩართულობაზე.

სამიზნე ჯგუფები: უცხოეთის უნივერსიტეტებში, სამეცნიერო - კვლევით ინსტიტუტებში, დამოუკიდებელ კვლევითი ცენტრებში მოღვაწე წარმატებული ქართველი მეცნიერები და საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტები, დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრები და მათში მოღვაწე მეცნიერები. კონკურსის პირობებით და მტკუ-ს პოლიტიკის თანახმად


დაფინანსებული პროექტები სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით



დაფინანსების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით



გამარჯვებული პროექტები ინსტიტუტების მიხედვით



წარმოდგენილი კვლევითი პროექტის ძირითადი პერსონალის არანაკლებ 50% -ს უნდა შეადგენდნენ ე.წ. „მეიარაღე“ მეცნიერები.


მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში 2016 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი

დაფინანსებული პროექტების საერთო
ბიუჯეტი - 349 840 აშშ. დოლარი
დამტკიცებული პროექტების 2017 წლის
ბიუჯეტი - 504 125 ლარი
კონკურსზე დარეგისტრირდა -
62 პროექტი
დაფინანსდა - 10 პროექტი, 59
მეცნიერი
პროექტების ხანგრძლივობა -
12, 18 ან 24 თვე
განხორციელების პერიოდი -
06/2017-06/2019


დაფინანსების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით




პროექტებში სამეცნიერო ხელმძღვანელთა გენდერული განაწილება




გამარჯვებულ პროექტებში საერთაშორისო თანამშრომლობა ქვეყნების მიხედვით



პროექტებში სამეცნიერო ხელმძღვანელთა ასაკობრივი მონაცემები



ძირითადი პერსონალის განაწილება აკადემიური ხარისხის მიხედვით




ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი

იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოსა (CNR) და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის მიზანია საქართველოს და იტალიის მეცნიერებსა და სამეცნიერო ცენტრებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, ორი ქვეყნის მკვლევართა მობილობის მხარდაჭერა, ერთობლივი სამეცნიერო - კვლევითი პროექტების ფინანსური ხელშეწყობა, საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაძლიერება, სამეცნიერო წრეების ინტეგრაცია საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში, ახალი კოლაბორაციული ჯგუფების/ქსელის შექმნა. კონკურსი ითვალისწინებს საგრანტო დაფინანსებას:


- ა) ერთობლივი კვლევითი პროექტების შესასრულებად;
- ბ) ერთობლივი სემინარების ჩასატარებლად; სამიზნე ჯგუფი: საქართველოსა და იტალიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრები, სამეცნიერო ინსტიტუტები და მათში მოღვაწე მეცნიერები.

დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტი - 24 000 ევრო
დამტკიცებული პროექტების 2017 წლის ბიუჯეტი: 12 000 ევრო
კონკურსზე დარეგისტრირდა: 17 პროექტი
დაფინანსდა: 4 ერთობლივი პროექტი
პროექტის ხანგრძლივობა: 12 ან 24 თვე
განხორციელების პერიოდი - 01/2018- /01/2020


გამარჯვებული პროექტების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით



გამარჯვებული პროექტების განაწილება ინსტიტუტების მიხედვით



გრანტის მიმღებთა განაწილება აკადემიური ხარისხის მიხედვით



ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამა მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის


პროგრამის მიზანია შესაძლებლობა მისცეს ქართველ სტუდენტებს შეასრულონ მათ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომთან დაკავშირებული კვლევები, როგორც ფუნდამენტური, ასევე, გამოყენებითი მიმართულებით, მსოფლიოში ცნობილ იულიხის კვლევითი ცენტრის ბაზაზე. ამასთან, პროგრამამ ხელი უნდა შეუწყოს გერმანულ მხარეს, მიიზიდოს საქართველოს უნივერსიტეტებიდან საუკეთესო სტუდენტები და ჩართოს ისინი სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამების ფარგლებში მიმდინარე სამეცნიერო საქმიანობაში.

იულიხის ცენტრისა და ფონდის მიერ დაფინანსდება არაუმეტეს 3 მაგისტრანტისა და 3 დოქტორანტისა, რომლებსაც საშუალება ექნებათ ცენტრში სტაჟირების ფარგლებში განახორციელონ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების მომზადებასთან დაკავშირებული კვლევები და ასევე, ითანამშრომლონ იულიხისა და გერმანიის სხვა სამეცნიერო ცენტრების თუ უნივერსიტეტების მეცნიერებთან.


პროგრამაში მონაწილეობა და განაცხადის წარმოდგენა შეუძლიათ ფონდსა და ცენტრს შორის გაფორმებული 2015 წლის 16 ივნისის შეთანხმებით განსაზღვრული საქართველოს უნივერსიტეტების კონსორციუმის (ივ. ჯავახიშვილის სახ. თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი) ერთ-ერთი წევრის ან საქართველოს სხვა უნივერსიტეტის მხრიდან იულიხის კვლევით ცენტრთან ურთიერთშეთანხმებით წარდგენილ მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.

დამტკიცებული პროექტების 2017 წლის ბიუჯეტი 30 414 ლარი
კონკურსზე დარეგისტრირდა - 3 პროექტი
(2 მაგისტრანტი, 1 დოქტორანტი)


გამარჯვებული პროექტების რაოდენობა და დაფინანსება



გამარჯვებული პროექტები ინსტიტუციების მიხედვით



გამარჯვებულთა გენდერული განაწილება



დაფინანსდა - 3 პროექტი
პროექტების ხანგრძლივობა - 8 თვე (MA)-36 თვე (PhD)
განხორციელების პერიოდი - 05/11/2017 - 05/11/2018 (MA), 01/03/2017 - 28/02/2021 (PhD)

ფონდის მიერ 2017 წელს გამოცხადებული ბილატერალური პროგრამები, რომელთა შედეგებიც 2018 წელს გახდება ცნობილი

2017 წელს გამოცხადდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში **(STCU)** სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი, რომლის შედეგებიც 2018 წელს გახდება ცნობილი.

კონკურსზე დარეგისტრირდა - 85 პროექტი და მეორე ეტაპზე გადავიდა 25 პროექტი

პროექტის ხანგრძლივობა - 12, 18 ან 24 თვე

პროექტის განხორციელების პერიოდი - 02/2018-/01/2020



2017 წელს გამოცხადდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის **(CNRS PICS)** ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი, რომლის შედეგებიც 2018 წელს გახდება ცნობილი.

2018 წლის ბიუჯეტი: 54 000 ლარი

დარეგისტრირდა: 2 პროექტი

პროექტის ხანგრძლივობა: 36 თვემდე

განხორციელების პერიოდი: 01/03/2018 - 31/12/2020








2017 წელს გამოცხადდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოს **(TUBITAK)** ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი, რომლის შედეგებიც 2018 წელს გახდება ცნობილი.

2017 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი - 75 000 ლარი

პროექტის ხანგრძლივობა - 24 თვემდე

პროექტის განხორციელების პერიოდი - 09/2018-/09/2020





საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი პროგრამები საქართველოს მეცნიერებისათვის (CERN, DUBNA)

პროგრამის მიზანია ბირთვული კვლევის ევროპულ ორგანიზაციასთან (CERN) და ბირთვული კვლევის გაერთიანებულ ინსტიტუტთან თანამშრომლობით (JINR DUBNA), ჩარჩო ხელშეკრულებების ფარგლებში შესაძლებლობა მიეცეს საქართველოს მონინავე მეცნიერებს - ფიზიკოსებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო თანამედროვე კვლევით პროექტებში და გააღრმავონ სამეცნიერო - ტექნიკური ურთიერთობები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მკვლევარები თანამშრომლობის შედეგებს გამოიყენებენ მხოლოდ არასამხედრო დანიშნულებით. აღნიშნული ცენტრების საერთაშორისო პროექტებში საქართველოს მეცნიერთა ჩართვა შესაძლებელი იქნება ადამიანური რესურსების გაზიარებით, აგრეთვე CERN-ისა და JINR-ის ცენტრებში კვლევისათვის საჭირო ტექნოლოგიებზე, აღჭურვილობაზე, მასალებსა და ინფრასტრუქტურაზე კონკურსის საფუძველზე შერჩეულ მეცნიერთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით.

2017 წელს შოთა რუსთაველის საქართველოს საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა საწევროს სახით გადაიხადა: ბირთვული კვლევის ევროპულ ორგანიზაციაში 397 786 ლარი და ბირთვული კვლევის გაერთიანებულ ინსტიტუტში - 1 011 977 ლარი.



სამეცნიერო საინფორმაციო და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარება თანამშრომლობა საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ გამომცემლობასთან ELSEVIER

განახლდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და გამომცემლობა Elsevier Bv-ს შორის 2014 წლის 28 მაისს გაფორმებული ხელშეკრულება. ხელშეკრულების საფუძველზე 2017-2018 წლებში:

- ScienceDirect და Scopus ბაზებზე განთავსებული უახლესი სამეცნიერო ლიტერატურით (სამეცნიერო სტატიები, წიგნები, აბსტრაქტები) სარგებლობა შეუძლია 21 ორგანიზაციისგან შემდგარი კონსორციუმის სამეცნიერო-აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს. კონსორციუმში გაერთიანებულია სახელმწიფო უნივერსიტეტები, შესაბამისი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, 3 კვლევითი ცენტრი, 1 სამეცნიერო ინსტიტუტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია და საქართველოს ეროვნული მუზეუმი.
- Mendeley (ბიბლიოთეკაში მუშაობისა და პუბლიკაციის მენეჯმენტის) ბაზით სარგებლობა შეუძლიათ კონსორციუმის სამეცნიერო-აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს.
- SciVal Funding და Expert Lookup ბაზებით

(საერთაშორისო სამეცნიერო კონკურსებისა და დარგობრივი სამეცნიერო ექსპერტებზე ინფორმაციისა და ანალიზისათვის) სარგებლობა შეუძლიათ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის თანამშრომლებს. 2017 წლის ბიუჯეტი - 261 552 ევრო.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და გამომცემლობას Elsevier Bv შორის 2015 წლის 17 სექტემბრის ხელშეკრულების ფარგლებში ScienceDirect-ის ბაზაში ქვეყნდება 2 ქართული სამეცნიერო ჟურნალი. 2017 წელს გამოქვეყნდა:

- ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის ნაშრომების (Transactions of A. Razmadze Mathematical Institute) 3 ნომერი;
- აგრარულ მეცნიერებათა მაცნე (Annals of Agrarian Science) 3 ნომერი და მზადდება მე-4 ნომერი.

2017 წლის ბიუჯეტი - 131 111 ევრო.



ELSEVIER

ევროკავშირის პროგრამები (H2020-Black Sea Horizon).

ევროკავშირსა და შავი ზღვის რეგიონს შორის მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის სფეროში თანამშრომლობის გაძლიერება (Black Sea Horizon)



„ევროკავშირსა და შავი ზღვის რეგიონს შორის მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის სფეროში თანამშრომლობის გაძლიერება“ - Black Sea Horizon ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა - Horizon 2020-ის ფარგლებში დაფინანსებული მულტილატერალური პროექტია, რომელიც 2015 წლის თებერვლიდან მიმდინარეობს. პროექტში ევროკავშირის და შავი ზღვის რეგიონის 18 ორგანიზაციასთან ერთად, მონაწილეობს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი. პროექტის მიზანია შავი ზღვის რეგიონის სამეცნიერო და ტექნოლოგიური გახვითარების სფეროში არსებული სიგუაციის ანალიზი, პირობების მომზადება ერთობლივი რეგიონული კონკურსის ჩასატარებლად, სამეცნიერო პროექტებში შავი ზღვის რეგიონის მკვლევართა ჩართვის ნახალისება, ინოვაციური შესაძლებლობების გამოვლენა, განვითარება და ინოვაციური ტექნოლოგიების მიმართულებით თანამშრომლობის გაზრდა შავი ზღვის რეგიონისა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის. პროექტი დაიწყო 01/02/2015 და დასრულდება 01/02/2018. კონსორციუმისთვის პროექტის ძირითადი ბიუჯეტი - 1,499,503.75 ევროს შეადგენს.

Black Sea Horizon გრანტი - შავი ზღვის რეგიონის მეცნიერთა ჩართულობა მოსამზადებელ შეხვედრებსა და საშუამავლო ღონისძიებებში პროექტის - Black Sea Horizon მცირე გრანტი ითვალისწინებს ადგილობრივი მკვლევარების მხარდაჭერას ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა Horizon 2020-ისთვის მოსამზადებელ შეხვედრებსა და საშუამავლო

ღონისძიებებში ჩართულობისთვის. ეს ღონისძიებები შესაძლებლობას აძლევს მეცნიერებს ჩამოაყალიბონ ახალი განვითარების მეცნიერების საერთაშორისო ქსელი, ურთიერთობა დაამყარონ ევროკავშირის კონსორციუმის წევრ მეცნიერებთან და საფუძველი ჩაუყარონ სამომავლო თანამშრომლობას. საგრანტო კონკურს ადმინისტრირებას უწევს პროექტი Black Sea Horizon ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.


2018 წელს იგეგმება პროექტის პარტნიორების ჩართულობით ერთობლივი კონკურსის გამოცხადება შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების მეცნიერთათვის. ერთობლივი კონკურსის პრიორიტეტული მიმართულებები იქნება:

- მასალები
- რესურსების ეფექტიანობა და გარემო
- სოფლის მეურნეობა

ევროპული კვლევების საბჭო (European Research Council)



ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) მისიაა, მაღალკონკურენტულ პირობებში დაფინანსების გზით, ხელი შეუწყოს ევროპაში უმაღლესი ხარისხის კვლევითი პროექტების განხორციელებას მეცნიერების ნებისმიერ დარგში. ERC მონაწილეობისთვის ინვესტს როგორც სამეცნიერო კარიერის საწყის ეტაპზე მყოფ მკვლევარებს, ასევე, გამოცდილ მეცნიერებს. კონკურსის ძირითადი პირობა არის უმაღლესი ხარისხის მოწინავე, ინოვაციური სამეცნიერო კვლევა. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი 2015 წლიდან არის ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) ეროვნული საკონტაქტო



პირი საქართველოში, ორგანიზებას უწევს ERC-ის საინფორმაციო შეხვედრებს და ავრცელებს ინფორმაციას ევროპული კვლევების საბჭოს ფარგლებში დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ. 2017 წელს ფონდის ორგანიზებით ჩატარდა 2 საინფორმაციო დღე და ერთი ფართომასშტაბიანი საერთაშორისო კონფერენცია ევროპული კვლევების საბჭოს საგრაზგო სქემების შესახებ.

2018 წლიდან ფონდის მიერ იგეგმება ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) სამეცნიერო კვლევითი სტაჟირების პროგრამა - ERC Visiting Fellowship Programme ევროპული კვლევების საბჭოს პროექტის მომზადებისათვის.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი - პლიუსი (EaP Plus)“



პროექტის „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი - პლიუსი (EaP Plus)“ განხორციელება დაიწყო 2016 წლის 1 სექტემბრიდან (პროექტის ხანგრძლივობაა 36 თვე).

EaP Plus პროექტის მიზნებია: ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამაში „ჰორიზონტი 2020“ საქართველოს მეცნიერთა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ჩართულობის გაძლიერება; ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მეცნიერთა შორის თანამშრომლობის გაძლიერება; პროექტის ამოცანებია: საქართველოს მეცნიერთა ინტეგრირება ჰორიზონტი 2020-ის ფარგლებში გამოცხადებულ საგრაზგო პროექტებში

ისეთი ინსტრუმენტების მეშვეობით როგორცაა: რეგულარული საინფორმაციო დღეებისა და სემინარების მეშვეობით ცნობიერების ამაღლება, სამეცნიერო დიასპორასთან თანამშრომლობის გაძლიერება, საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში საქართველოს მეცნიერთა ჩართულობის გაზრდა, საშუაშუალო ღონისძიებებისა და მოხილვების წახალისება და სხვ. ევროკავშირისა და ევროპის ქვეყნების ეროვნულ პროგრამებში (COST, JPIs) საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მეცნიერთა ჩართულობის უზრუნველყოფა; ევროკავშირის სხვა ქვეყნებისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციის სფეროში მიმდინარე პოლიტიკური დიალოგის გაძლიერება.






EaP Plus პროექტის ფარგლებში შექმნილი კონსორციუმის ლიდერია საბერძნეთის რეგიონული და საერთაშორისო კვლევებისა და მხარდაჭერის ცენტრი (CERISS), ნამცვანის პარტნიორები არიან სამეცნიერო ფონდები და კვლევითი ცენტრები ევროკავშირის შემდეგი ქვეყნებიდან: გერმანია, ავსტრია, ბელგია, საფრანგეთი, პოლონეთი, უნგრეთი, პორტუგალია. სხვა აქტივობებთან ერთად, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია EaP Plus-ის გრანტი საშუაშუალო ღონისძიებებსა და მოსამზადებელ შეხვედრებში მონაწილეობისათვის, ასევე, საგრაზგო სქემა კლასტერებისთვის.

4

2017 წლის მნიშვნელოვანი ღონისძიებები

- თანამშრომლობის ხელშეწყობი მემორანდუმები;
- სამეცნიერო საზოგადოებასთან კომუნიკაცია;
- 2018 წლის კონკურსების კალენდარი





თანამშრომლობის ხელშეწყობი მემორანდუმები

ფონდსა და იულისის ცენტრს შორის შეთანხმებას ხელი მოეწერა

2017 წელი ეძღვნება საქართველო-გერმანიის ურთიერთობებს. აღნიშნულთან დაკავშირებით განხორციელდა რამდენიმე სამეცნიერო თანამშრომლობის პროექტი. მათ შორის, 2017 წლის 5 ივნისს ხელი მოეწერა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იულისის კვლევითი ცენტრის შეთანხმებას, რომელიც შეეხება საზაფხულო სკოლისა და შემოდგომის ლექციების კურსის თანადაფინანსებას.



2017 წლის 9-17 სექტემბერს „საქართველო-გერმანიის სამეცნიერო ხიდის“ კონცეფციის ფარგლებში იულისის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრში ჩატარდა ე.წ. QUALI-Start-Up ლექციების კურსი. ლექციების თემატიკა მოიცავდა ექსპერიმენტული და თეორიული ფიზიკის (ბირთვული ფიზიკა, ნაზო-ტექნოლოგიები, სამედიცინო ფიზიკა), ქიმიის (ენერგიისა და კლიმატის კონტროლი), სიცოცხლის შემსწავლელი და ჯანმრთელობის, მათემატიკის, ინჟინერიისა და გექნოლოგიების მიმართულებებს. ლექციების კურსისთვის შეირჩა საქართველოს უნივერსიტეტების კონსორციუმის (თსუ, სტუ, ილიაუნი და აგრიუნი) 21 სტუდენტი. აქედან, 19 სტუდენტი დაფინანსდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (40 301 ლარი) და იულისის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ. ხოლო 2 სტუდენტი სრულად დაფინანსდა იულისის კვლევითი ცენტრის მიერ (სტაჟირება 6 კვირის განმავლობაში).



ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი - ფონდსა და მოლდოვას მეცნიერებათა აკადემიას შორის

მემორანდუმი გაფორმდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და მოლდოვას მეცნიერებათა აკადემიას შორის. შეთანხმების მიზანია კვლევებისა და განვითარების მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავება საქართველოსა და მოლდოვას შორის. მხარეები ხელს შეუწყობენ და მხარს დაუჭერენ კვლევით მიმართულებებში მეცნიერებს შორის თანამშრომლობას თანასწორობისა და ორმხრივი სარგებლის გათვალისწინებით.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი - საქართველოსა და ბულგარეთის ეროვნულ სამეცნიერო ფონდებს შორის

ურთიერთშეთანხმება გაფორმდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და ბულგარეთის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს შორის. მხარეებმა განიხილეს საქართველოსა და ბულგარეთს შორის მეცნიერული თანამშრომლობის გაღრმავება, STI სექტორში დამატებით შესაძლებლობებზე დისკუსიის წარმოება, ბულგარულ და ქართულ მეცნიერებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა და ორი ქვეყნის მეცნიერთა ქსელის ჩამოყალიბების წახალისება.



თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოს (TUBITAK) პრეზიდენტის ვიზიტი ფონდში

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და საქართველოს სამეცნიერო ინსტიტუციების წარმომადგენლებს შორის. TUBITAK-ის პრეზიდენტი პროფ. არიფ ერვინი გაეცნო შეხვედრაზე წარმოდგენილი ინსტიტუციების თურქეთთან სამეცნიერო თანამშრომლობის მიმართულებებსა და პრიორიტეტებს, მათთან ერთად განიხილა შესაძლო სამომავლო კოლაბორაციის საკითხები. TUBITAK-მა საქართველოს შესთავაზა გამოცდილების გაზიარება და ტექნიკური დახმარება Horizon 2020- ში მონაწილეობის გაძლიერებისთვის.



ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდებს შორის





ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფონდმა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის წარმომადგენლები მიიწვია ქ. პეკინში 2017 წლის 2-4 ივლისს გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელიც მიეძღვნა ჩინეთის პრეზიდენტის ბატონი ქსი ჯინპინგის მიერ ინიცირებულ განვითარების სტრატეგიის და ჩარჩო პროგრამას „The Silk Road Economic Belt and the 21st-century Maritime Silk Road“. აღნიშნული სტრატეგიის მიზანია გააძლიეროს თანამშრომლობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ევრაზიის კონტინენტის ქვეყნებს შორის.

სიმპოზიუმის ორგანიზატორის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფონდის, მიერ შემუშავებულია „Science – Talent-Future“ „მეცნიერება-ნიჭი-მომავალი“ პროგრამის სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებშიც იგი მზადაა სხვა ფონდებთან ერთობლივად ორგანიზება გაუწიოს მიზნობრივი აქტივობების განხორციელებას და პარტნიორ ფონდებთან ერთობლივად შეარჩიოს და დააფინანსოს აბრეშუმის გზის ქვეყნების საერთო სამეცნიერო მიზნების მქონე გამორჩეული კვლევითი ჯგუფები.

ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა, ქალბატონმა მანანა მიქაბერიძემ სიმპოზიუმის მონაწილეებს წარუდგინა ფონდის მისია, მიზნები და ამოცანები, გააცნო ფონდის საქმიანობა და გამოთქვა სრული მზადყოფნა საერთაშორისო თანამშრომლობის ვალდებულებისათვის. იგეგმება ეროვნული სამეცნიერო ფონდის აქტიური ჩართულობა BRFF სამომავლო აქტივობებში.

2017 წლის 5 ივლისს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფონდსა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც მიზნად ისახავს ერთობლივი საგრანტო კონკურსების ადმინისტრირებას, სამეცნიერო ღონისძიებების ჩატარებასა და სხვა აქტივობებს.



ფონდის აქტივობები და სამეცნიერო საზოგადოებასთან კომუნიკაცია

მარია მაკაროვის შეხვედრა საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებასთან

ევროკომისიის მიერ დანერგილი ინსტიტუციური განვითარების ინსტრუმენტის მხარდაჭერით, ფონდს ეწვია ფინეთის ბიოცენტრის დირექტორი, ფინეთის აკადემიის, ფინეთის კვლევის საბჭოს ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი მარია მაკაროვი. ვიზიტის თარგვლებში, პროფ. მაკაროვი გაეცნო მეცნიერების სფეროში საქართველოში არსებულ ვითარებას, ფონდის პროგრამებისა და საგრანტო კონკურსების აღმნიშვნელობას და რამდენიმე ნაწილისაგან შემდგარი საექსპერტო მისიის შედეგად, მოამზადებს რეკომენდაციებს მეცნიერების მართვის გაუმჯობესებისათვის.



არსებული კვლევითი-სამეცნიერო გარემოსა და პოტენციალის უკეთ გაცნობის მიზნით, 11 იანვარს ფონდში ჩატარდა საინფორმაციო - გაცნობითი შეხვედრა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისა და სახელმწიფო უნივერსიტეტების წარმომადგენლების მონაწილეობით.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს სხდომები

2017 წელს გაიმართა საბჭოს ორი IV - და V სხდომა (თებერვალი, ივლისი). საკოორდინაციო საბჭო არის ფონდის კოლევიალური ორგანო, რომელიც წელიწადში ორჯერ იკრიბება და მართვის მიზნით განიხილავს 6 თვის მანძილზე ფონდის მიერ განხორციელებულ საქმიანობას, სტრატეგიულ საკითხებსა და სამოქმედო გეგმას.

ფონდის თანამშრომლებმა საბჭოს წარუდგინეს: შემაჯამებელი ანგარიში - მიღწევები, გამოწვევები და პრობლემები; განხორციელებული ცვლილებები საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინებით, ახალი სტრუქტურა, საგრანტო კონკურსების, ახალი საგრანტო კონკურსები და პროგრამები (MG, SRNSF-DAAD და SRNSF-VW ერთობლივი საგრანტო კონკურსები), 2017 წლის კონკურსები, ფონდის განახლებული სტრატეგია, 2018 წლის პროგრამის განახლებული პორტფოლიო, ბიუჯეტის პროექტი და საერთაშორისო თანამშრომლობის პერსპექტივები.



ფონდის აქტივობები და სამეცნიერო საზოგადოებასთან კომუნიკაცია

სამუშაო შეხვედრა გაიმართა საქართველოს ინსტიტუციებისგან შემდგარ კონსორციუმის წარმომადგენლებთან

შეხვედრაზე მონაწილეებმა განიხილეს Clarivate Analytics-თან (ყოფილი Thomson Reuters) თანამშრომლობის პირობები და შესაბამის ბაზებთან და ანალიტიკურ მომსახურებასთან საქართველოს უნივერსიტეტების კონსორციუმის წევრების საკითხი. აღსანიშნავია, რომ Clarivate Analytics ფლობს ერთ-ერთ ნამყვან საერთაშორისო ონლაინ გამომცემლობას Web of Science, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს როგორც უახლეს, ასევე გასული საუკუნის (1990-2017) სამეცნიერო ლიტერატურას, სტატიებს, ნიგნებს და ა.შ.



ევროპული კვლევების საბჭოს კვირეული საქართველოში - გამორჩეული მეცნიერების მხარდაჭერა - აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების რეგიონული ფონისძიება თბილისში




ევროპული კვლევების საბჭოს აღმასრულებელი სააგენტოსა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით გაიმართა ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) 10 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო რეგიონული კონფერენცია. ღონისძიება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა.

ERC-ის კვირეული მიზნად ისახავდა საქართველოს და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნების მონაწილეობის გაზრდას ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) მიერ ადმინისტრირებულ კონკურსებში.

გლობალური კვლევების საბჭოს მე-6 წლიური შეხვედრა

ქ. ოტავაში (კანადა) გაიმართა გლობალური კვლევების საბჭოს (Global Research Council –GRC) მე-6 წლიური შეხვედრა. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სახით საქართველომ პირველად მიიღო მონაწილეობა აღნიშნულ ფორუმში. შეხვედრის მთავარი მიზანი გახლდათ სამეცნიერო ფონდებისა და მეცნიერების დამფინანსებელ სააგენტოებს შორის კავშირებისა და შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა, ასევე, ფუნდამენტურ კვლევებსა და ინოვაციებს შორის დინამიური ურთიერთკავშირის გაძლიერების საკითხების განხილვა.

აღმასრულებელი სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად განიხილეს საქართველოს ჩართულობის შესაძლებლობები კვლევების გლობალური საბჭოს სამომავლო ინიციატივებში.



ფონდის აქტივობები და სამეცნიერო საზოგადოებასთან კომუნიკაცია

ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) საინფორმაციო დღე შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში

2017 წლის საქართველოს მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში ფონდში გაიმართა ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) ორი საინფორმაციო დღე.

ღონისძიება მიზნად ისახავდა ERC-ის დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების ცხოვრების ამაღლებას, საქართველოს მეცნიერთათვის კონსულტაციების გახვეწასა და ERC-ის კონკურსებში მათი ჩართულობის ხელშეწყობას.

შეხვედრაზე ფონდის წარმომადგენლებმა, როგორც ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) ეროვნულმა საკონტაქტო პირებმა (NCPS) მიმოიხილეს ERC-ის საგრანტო სქემები და მიმდინარე ღია კონკურსები.




გამომცემლობა ELSEVIER-ის სემინარი შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში



მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში ჩატარდა სემინარები საქართველოს მეცნიერთათვის ELSEVIER-ის ბაზებზე წვდომასთან დაკავშირებით, კერძოდ, კი SCOPUS-ისა და Scival-ის ბაზების შესაძლებლობებზე. სემინარებს წარუძღვნენ კრიშტოფ ფიშანსკი (გამომცემლობა Elsevier-ის კვლევების მართვის კონსულტანტი) და ანდრეი ლოკუევი (გამომცემლობა Elsevier-ის მონაცემთა ანალიზის კონსულტანტი).



გარდა ამისა, ილიასა და ივჭავაძის ქუჩის სახელობის თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტებში ჩატარდა სემინარები (Author Workshop) და (Mendeley Workshop) საერთაშორისო სამეცნიერო ანალიტიკური კომპანიის, ELSEVIER-ის შესახებ.



სამეცნიერო საზოგადოება გაეცნო ELSEVIER-ის სამეცნიერო გამოცემებსა და ჟურნალებში სტატიის გამოქვეყნების მნიშვნელობასა და შესაძლებლობებს, ელექტრონული ბიბლიოთეკის, Mendeley-ის სტრუქტურას, რომელიც მომხმარებლებს თავიანთი სამეცნიერო ნაშრომებისთვის წყაროების ეფექტური ორგანიზების, სამეცნიერო საზოგადოებასთან კავშირის, საკუთარი მონაცემთა ბაზების მართვისა და მსოფლიოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში ვაკანსიების მოძებნის შესაძლებლობას აძლევს. დამსწრე მეცნიერებმა გაიარეს ტრენინგი Mendeley-ს მოხმარებასთან დაკავშირებული ტექნიკური დეტალების შესახებ.

ჰორიზონტი 2020 - ის საინფორმაციო დღე



ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020“- ის დაფინანსებული პროექტის EaP PLUS-ისა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით, გაიმართა ჰორიზონტი 2020 - ის საინფორმაციო დღე.

შეხვედრაზე განხილულ იქნა ჰორიზონტი 2020-ის ახალი სამუშაო პროგრამა (2018-2020 წლებისთვის) და მის ფარგლებში გამოცხადებული სხვადასხვა თემატური კონკურსი, მონაწილეობის პირობები,

საპროექტო წინადადების შეფასების, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო SPIRE-ის (Sustainable Process Industry) - ის კონკურსებსა და მათში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების (მათ შორის, საქართველოს) ჩართულობის პრიორიტეტულობას.

გამოყენებითი კვლევების საგრანტო კონკურსის განახლებული კონცეფციის განხილვა - შეხვედრა მეცნიერებთან

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში გაიმართა შეხვედრა ქართველ მეცნიერებთან. ფონდის წარმომადგენლებმა მათ გააცნეს გამოყენებითი კვლევების საგრანტო კონკურსის განახლებული კონცეფცია. მეცნიერებმა, თავის მხრივ, გამოთქვეს მოსაზრებები კონცეფციაში შესული ცვლილებებისა და გამოყენებითი კვლევების კონკურსის წესების შესახებ. მათ იმსჯელეს მოთხოვნებზე აპლიკანტების მიმართ, შეფასების სისტემაზე, პროექტების მონიტორინგზე, სამეცნიერო პროდუქტიულობასა და სხვა მრავალ საკითხზე.





საკანონმდებლო ცვლილება



აღდგა ფონდის კონკურსების შემფასებელ გარეშე ექსპერტთა კონფიდენციალობის საკითხი. საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებებით (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 21-ე მუხლის მე-7 პუნქტი, ცვლილების თარიღი 16.06.2017), კონფიდენციალურია იმ ექსპერტთა ვინაობა, რომლებიც უზრუნველყოფენ სამეცნიერო საგრანტო, აგრეთვე ინოვაციური პროექტის დაფინანსების კონკურსის/კონკურსების ფარგლებში წარდგენილი პროექტების შეფასებას. ამასთანავე, 2017 წლის 16 ივნისს ცვლილება შევიდა «მეცნიერების,

ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ» საქართველოს

კანონის მე/151 მუხლში და დაემატა შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი: «იმ ექსპერტთა ვინაობა, რომლებიც უზრუნველყოფენ სამეცნიერო ფონდის მიერ ადმინისტრირებული საგრანტო კონკურსის/კონკურსების ფარგლებში წარდგენილი პროექტების შეფასებას, კონფიდენციალურია.»



ფონდის აქტივობები და სამეცნიერო საზოგადოებასთან კომუნიკაცია

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2017

რიყის პარკში, გაიხსნა მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2017. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ერთუბიანებითა და მთელი ძეგარებით მესამე წელია მონაწილეობს მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალზე და მოსულ სტუმრებს აცნობს ფონდის საქმიანობას.



საკონსულტაციო შეხვედრები

2017 წლის საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მსურველთათვის ფონდის თანამშრომლების მიერ 40-მდე ჯგუფური საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა. საკონსულტაციო შეხვედრებზე მოსულ საზოგადოებას განემარტა საგრანტო პროექტის მართვის წესი და პირობები.



WWW.RUSTAVELI.ORG.GE